ხელშეკრულება № 95
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ოზურგეთი 20 მარტი 2025 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტი“;**
წარმოდგენილი მერის, **ავთანდილ თალაკვაძის** სახით (შემდგომში - შემსყიდველი);
მისამართი: ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქუჩა N1;
საიდენტიფიკაციო კოდი: № 237114635;
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა;

და მეორე მხრივ, **სს „სტრადა მოტორსი“,**
წარმოდგენილი დირექტორის ზურაბ გვაზავას მინდობილი პირის **გიორგი ოქრიაშვილის** (პ/ნ 01002014663, რწმუნებულება გაცემულია 2024 წლის 16 ოქტომბერს და მოქმედებს 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) სახით სახით (შემდგომში - მიმწოდებელი),
მისამართი: ქ. თბილისი, ბელიაშვილის #191;
საიდენტიფიკაციო კოდი: 401960286;
ტელეფონის ნომერი: 0322 30 73 06; ელ-ფოსტა: lmegrelishvili@fiat.ge
საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“,
ბანკის კოდი: TBCBGE22;
ანგარიშის ნომერი: **GE 98 TB 7108 2360 8010 0001**

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. კლასიფიკატორის კოდი
1.1. კლასიფიკატორის კოდია **CPV კოდი: 34300000 - ნაწილები და აქსესუარები სატრანსპორტო საშუალებებისა და მათი ძრავებისათვის.**

2. შესყიდვის ობიექტი
2.1. შესყიდვის ობიექტია - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული 1 (ერთი) ერთეული სატრანსპორტო საშუალების („FIAT TIPO“ – სახელმწიფო ნომერი BB-699-YY) ნაწილების შესყიდვა (თანმდევი შეცვლის მომსახურებით):

N	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ფასი (ლარი)
1	წინა სანისლე ფარი	ცალი	1	190	190
2	წინა სანისლე ფარის შეცვლა	მომსახურება	1	80	80

3. ხელშეკრულების ღირებულება
3.1. სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს არაუმეტეს **270 (ორასსამოცდაათი) ლარს,** კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახდელის ჩათვლით.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი
4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება, ხელშეკრულების გაფორმებიდან 2025 წლის 30 აპრილის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ბელიაშვილის #191;

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
5.1. ხელშეკრულება ძალაშია, მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 1 ივნისის ჩათვლით.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი
6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.
6.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს აწერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი თენგიზ ჩიჩუა.

7. ანგარიშსწორების ფორმა
7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული საქონლის ღირებულების შესაბამისად, ეროვნული ვალუტით.
7.2. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, საქონლის მიწოდების შემდეგ.
7.3. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება ხელშეკრულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
8.1. შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.
8.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
- დაიცვას უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ნორმები.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

9.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

10. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

10.1. ერთი მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.
10.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 5 (ხუთი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
10.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათვისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისგან.
10.4. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);
ბ) შესყიდვის ობიექტის მოწოდების ვადები დაირღვა 15 დღეზე მეტი ვადით.
10.5. ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ასევე მხარეთა შეთანხმებით.
10.6. ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, დამრღვევი მხარე დაჯარიმდება ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 10 პროცენტის ოდენობით.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. სხვა პირობები

13.1. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
13.4. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;
13.5. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელშეკრულებაზე ხელის მომწერი პირ(ებ)ი ხელის მოწერით ადასტურებს რომ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მიმწოდებლისაგან ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტი	**შ.პ.ს „სტრადა მოტორსი“**
---	Giorgi Okriashvili 01002014663 Digitally signed by Giorgi Okriashvili Date: 2025.03.20 14:11:55

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ოზურგეთი 20 მარტი 2025 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ მოყვანილი პირი ხელის მოწერით ადასტურებს რომ, მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შ.პ.ს „სტრადა მოტორსი“-საგან ავტო ნაწილების შესყიდვის პროცედურაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის
შესყიდვების განყოფილების სპეციალისტი - **დავით ღლონტი**

24 სექტემბერი 2024 წელი

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ამ მინდობილობით შპს „სტრადა მოტორსი“ (ს/ნ 401960286) წარმოდგენილი მისი დირექტორის ზურაბ გვაზავას მიერ (პ/ნ 01026011397) უფლებამოსილებას ვანიჭებ სერვისის დირექტორს, გიორგი ოქრიაშვილს (პ/ნ 01002014663), რათა მან წარმოადგინოს შპს „სტრადა მოტორსი“-ს ინტერესები შემდეგი უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ: რწმუნებული უფლებამოსულია კომპანიის სახელით ხელი მოაწეროს სერვისის ხელშეკრულებებს, მიღება-ჩაბარების აქტებს, ასევე უფლებამოსილია შპს „სტრადა მოტორსი“-ს სახელით ელექტრონულად დაამოწმოს აღნიშნული დოკუმენტაცია. აღნიშნული უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილი პირი უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა ქმედება რაც საჭიროა შპს „სტრადა მოტორსი“-ს ინტერესების დასაცავად.

მინდობილობა გაცემულია 2027 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

შპს „სტრადა მოტორსი“-ს დირექტორი,

ზურაბ გვაზავა.

Strada Motors 401960286 STRADA MOTORS LTD

Zurab Gvazava 01026011397

Digitally signed by Zurab Gvazava
Date: 2024.10.16 17:02:43

Strada Motors Ltd
A.Beliashvili Str.191, 0159 Tbilisi, Georgia
Tel. +995 (32) 2 307 307
www.fiat.ge
www.jeep.ge
www.alfa-romeo.ge

შპს სტრადა მოტორსი
ა.ბელიაშვილის ქ. 191, 0159 თბილისი, საქართველო
ტელ: +995 (32) 2 307 307
www.fiat.ge
www.jeep.ge
www.alfa-romeo.ge